დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS

# ხელშეკრულება №195/16

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

20 ოქტომბერი 2016 წ.

ერთის მხრივ **ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო“** (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმომადგენელი მისი თავმჯდომარის მოადგილის ვახტანგ ტუკვაძის სახით და მეორეს მხრივ, **შ.პ.ს. „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“** (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ზურაბ ყვირალაშვილის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ "დაცული ტერიტორიების სააგენტო"-ს ბალანსზე რიცხული ავტომანქანების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (CPV50100000 – სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) სახელმწიფო შესყიდვა;

1.2 სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების ჩამონათვალი და ფასები ასევე სავალდებულო პერიოდული ტექმომსახურების გრაფიკი შესაბამისი სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების მითითებით მოცემულია დანართი №1-ში; შესაბამისად ერთეულის ფასი, კონკრეტული ავტომობილის მარკა-მოდელის მიხედვით განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი №1-ის (პრეისკურანტი) შესაბამისად; ნებისმიერი სხვა სათადარიგო ნაწილისა და მომსახურების მიწოდების შემთხვევაში ფასები განისაზღვრება მხარეთა მიერ დამატებით გაფორმებული სერვისული მომსახურების ხელშეკრულებით;

1.3 შესყიდვა ხორციელდება ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს ტერიტორიულ ადმინისტრაციებზე მიმაგრებული ავტომანქანების საჭიროებისათვის დანართი №2-ის შესაბამისად.

1.4 დანართები №1; №2 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.5 შესყიდვა ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10$^{1}$ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;

1.6 შესყიდვა ხორციელდება სააგენტოს საკუთარი შემოსავლებით.

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში;

2.2. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს არაუმეტეს **3000 (სამი ათასი) ლარს**.

### 3. მომსახურების გაწევის პირობები, ადგილი და ვადა

3.1. „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს „შემსყიდველის“ ავტოსატრანსპორტო საშუალების პროფილაქტიკური (ამ ხელშეკრულების დანართებით გათვალისწინებული ნაწილებისა და მომსახურების) მომსახურება ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, სიტყვიერი ან/და წერილობითი მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში; მიმწოდებლის სერვისის გადატვირთვის და/ან შესასრულებელი სამუშაოს სირთულის ან სათადარიგო ნაწილის ადგილზე არქონის

შემთხვევაში მხარეები დამატებით (სიტყვიერად ან წერილობით) თანხმდებიან მიწოდების ვადებზე.

3.2. „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" მომსახურებას გაუწევს მის კუთვნილ სერვის ცენტრებში.

3.3. მომსახურება განხორციელდება ავტომანქანებზე შედგენილი დეფექტური აქტების საფუძველზე და ასევე საგარანტიო პირობების შესაბამისად.

**4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1. მიღება-ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად;

4.2. მიღება-ჩაბარების აქტს „შემსყიდველის" მხრიდან ხელს აწერენ სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს" შესაბამისი ადმინისტრაციის თანამშრომლები, ხოლო „მიმწოდებლის" მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

**5. მომსახურების ხარისხი**

5.1. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი და სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს;

5.2. „მიმწოდებლის" გარანტია შესრულებულ სამუშაოებზე ან/და გამოცვლილ და შეკეთებულ სათადარიგო ნაწილებზე მოქმედებს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში; იმ პირობით, რომ მიწოდებულ ნაწილებსა და მომსახურებაზე ყველა სახის დამატებითი მომსახურება (საჭიროებისას) ან სათადარიგო დეტალის შეძენა საგარანტიო ვადის განმავლობაში მოხდება მხოლოდ მიმწოდებლისაგან; ამასთან: შემსყიდველის მიერ დაცული იქნება სავალდებულო პერიოდული ტექმომსახურებით გათვალისწინებული მომსახურების წესები, პერიოდულობის ვადები და ავტომობილების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია ნაადრევად მოხსნას ავტომობილი გარანტიიდან.

5.3. თუ საგარანტიო პერიოდში აღმოჩნდება დეფექტები, რომლებიც გამორიცხავენ ავტომანქანის გამოყენებას დანიშნულებისამებრ, „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველისგან" შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში გამოასწოროს დეფექტი ან შეცვალოს დეფექტური ნაწილი;

5.4. გარანტია არ ვრცელდება „შემსყიდველის" მიერ ავტომანქანის ექსპლუატაციის წესების დარღვევის და გარეგანი ზემოქმედების შედეგად მიყენებულ ზიანზე. ასევე სწრაფცვეთად ნაწილებზე.

5.5. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო"-ს ეკონომიკური სამსახურის თანამშრომლები.

**6. ანგარიშსწორება**

6.1. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" ხორციელდება ლარებში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპოვრივად ფაქტიურად მიწოდებული სათადარიგო ნაწილებისა და გაწეული მომსახურების შესაბამისად მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე.

## 7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს" სრულყოფილი და დროული მომსახურება;

7.1.2. „შემსყიდველს" გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენა;

7.1.3. უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა (მისი არსებობის შემთხვევაში);

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მხრიდან წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მხრიდან წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

## 8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება;

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. თავისი ვალდებულების შესასრულებლად თავისივე ხარჯით საქმეში ჩართოს როგორც თავისი წარმომადგენლები, ასევე მესამე პირები;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველის" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა;

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ისეთი ალტერნატიულ ხერხებით, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 10. ხელშეკრულების პირობებისა და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს“ რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში; მათ შორის:

10.3. საქართველოს სამოქალარო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

11.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

## 13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებლის“ მხრიდან მოხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა და არ განხორციელდა შესაბამისი ხარისხის და ოდენობის მომსახურების მიწოდება, მას დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური

ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

13.3. „შემსყიდველის" მხრიდან 6.2 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში „შემსყიდველს" „მიმწოდებლის" სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. შემსყიდველის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსყიდველს იმ მომენტისათვის არსებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე.

## 16. განსაკუთრებული პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა;

16.4. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| **ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო"** | **შ.პ.ს. „ტოიოტა ცენტრი თეგეტა"** |
| ქ. თბილისი, გულუას ქ. №6 | ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 6 |
| ტელ: 2752352 | ს/კ 405006461 |
| ს/კ: 204911337 | ს.ს „თიბისი ბანკი" |
| სახელმწიფო ხაზინა | ბანკის კოდი: TBCBGE22 |
| სახაზინო კოდი: 220101222 | ა/ა GE25 TB76 8683 6020 1000 01 |
| ა/ა №200122900 | |
| ______________ | ______________ |
| ვახტანგ ტუკვაძე | ზურაბ ყვირალაშვილი |
| თავმჯდომარის მოადგილე | გენერალური დირექტორი |

**2016 წლის 20 ოქტომბრის №195/16 ხელშეკრულების დანართი №1**

საგარანტიო პერიოდში, თითოეული ავტომანქანის ტექნიკური მომსახურებისა და ამ მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებისა და საცხებ-საპოხი მასალების ჩამონათვალი მომსახურების გაწევის გრაფიკის შესაბამისად

| # | დასახელება | გარბენი (10000 კმ) | გარბენი (20000 კმ) | გარბენი (30000 კმ) | გარბენი (40000 კმ) | გარბენი (50000 კმ) | გარბენი (60000 კმ) | გარბენი (70000 კმ) | გარბენი (80000 კმ) | გარბენი (90000 კმ) | გარბენი (100000 კმ) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძრავის ზეთი (7ლ) | + | + | + | + | + | + | + | + | + | + |
| 2 | ზეთის ფილტრი | + | + | + | + | + | + | + | + | + | + |
| 3 | ჰაერის ფილტრი | | | | + | | | | + | | |
| 4 | საწვავის ფილტრი | | + | | + | | + | | + | | + |
| 5 | კონდენციონერის ფილტრი | + | + | + | + | + | + | + | + | + | + |
| 6 | სამუხრუჭე სითხე | | | | + | | | | + | | |
| 7 | უკანა დიფერენციალის ზეთი | | | | + | | | | + | | |
| 8 | გეგმიური ტექ. შემოწმება | + | + | + | + | + | + | + | + | + | + |

შენისვნა: წინა და უკანა ხუნდების სავარაუდო შეცვლის რაოდენობა და პერიოდულობა 100000კმ გარბენამდე დამოკიდებულია ავტომობილის ექსპლუატაციის პირობებზე

## Toyota Hilux 2.5 (სათადარიგო ნაწილების და მომსახურების პრეისკურანტი)

| # | დასახელება | სათადარიგო ნაწილის ერთეულის ფასი (ლარი) | მომსახურების ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|
| 1 | ძრავის ზეთის ფილტრი | 40 | 0 |
| 2 | ძრავის საფენების და ჩობალების კომპლექტი | 747 | 1700 |
| 3 | ძრავის სახურავის შუასადები | 45 | 50 |
| 4 | ძრავის ბლოკის შუასადები | 227 | 400 |
| 5 | ძრავის წინა ჩობალი #1 | 56 | 50 |
| 6 | ძრავის წინა ჩობალი #2 | 35 | 50 |
| 7 | ძრავის უკანა ჩობალი | 100 | 50 |
| 8 | წყლის პომპა | 425 | 70 |
| 9 | წყლის პომპის შკივი | 123 | 20 |
| 10 | წყლის პომპის საფენი | 25 | 0 |
| 11 | როლიკი, გარეთა ღვედის #1 | 528 | 20 |
| 12 | როლიკი, გარეთა ღვედის #2 | 528 | 20 |
| 13 | დამჭიმი როლიკით, გარეთა ღვედის | 426 | 40 |
| 14 | ვენტილატორის ჰიდრომუფტა #1 | 792 | 30 |
| 15 | ვენტილატორი, ფრთოვანა #1 | 194 | 30 |
| 16 | კომპრესორი | 1760 | 70 |
| 17 | კომპრესორის შკივი (გადაბმულობა) | 1330 | 15 |
| 18 | რადიატორი წყლის | 847 | 70 |
| 19 | რადიატორის ხუფი | 60 | 0 |
| 20 | რადიატორის ზედა მილი | 50 | 10 |
| 21 | რადიატორის ქვედა მილი | 50 | 10 |
| 22 | წყლის გამაფართოებელი ავზი | 503 | 20 |
| 23 | რადიატორის დიფუზორი | 255 | 70 |
| 24 | თერმოსტატი | 108 | 30 |
| 25 | თერმოსტატი საფენი | 9 | 0 |
| 26 | თერმოსტატი საფენი #2 | 8 | 0 |
| 27 | თერმოსტატის ზედა მილი ხუფი | 146 | 40 |
| 28 | ძრავის გარეთა ღვედი | 176 | 20 |
| 29 | შემშვები კოლექტორის შუასადები | 27 | 80 |
| 30 | გამშვები კოლექტორის შუასადები | 52 | 200 |
| 31 | ტურბინის საფენი | 14 | 0 |
| 32 | ტურბინის ზეთის მილის საფენი | 7 | 15 |
| 33 | ტურბინის ზეთის მილის საფენი #1 | 8 | 15 |
| 34 | ტურბინის გარე საფენი | 10 | 0 |
| 35 | ტურბინა | 8185 | 100 |
| 36 | შემფრქვევის ჩობალი | 6 | 50 |
| 37 | მაღალი წნევის საწვავის ტუმბო | 4465 | 80 |
| 38 | მუხლა ლილვის სენსორი | 198 | 50 |
| 39 | მუხლა ლილვის სენსორი | 198 | 50 |
| 40 | ძრავის ზეთის წნევის სენსორი | 69 | 40 |
| 41 | ტურბინის წნევის სენსორი | 591 | 40 |
| 42 | ტემპერატურის სენსორი | 146 | 40 |
| 43 | უკუსვლის მანიშნებელი სენსორი | 81 | 50 |
| 44 | საჭის რულეტკა | 80 | ** |
| 45 | ძრავის ტემპერატურის სენსორი | 116 | 40 |

დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS

| | | | |
|---|---|---|---|
| 46 | გად კოლოფის ბრუნთა ამთვლელი სენსორი | 448 | 50 |
| 47 | ამძრავის სენსორი | 200 | 50 |
| 48 | საქარე მინის მწმენდი მჯ | 68 | 5 |
| 49 | საქარე მინის მწმენდი მც | 76 | 5 |
| 50 | საქარე მინის მწმენდების ელ ძრავი | 894 | 100 |
| 51 | საქარე მინის მწმენდის ღერო მჯ | 176 | 5 |
| 52 | საქარე მინის მწმენდის ღერო მც | 133 | 5 |
| 53 | საქარე მინის მწმენდის ღეროს ხუფი | 9 | 0 |
| 54 | საქარე მინის მწმენდის წყლის ავზი | 130 | 10 |
| 55 | საქარე მინის მწმენდის წყლის ავზის მილი | 94 | 5 |
| 56 | საქარე მინის მწმენდის წყლის ავზის ხუფი | 10 | 0 |
| 57 | საქარე მინის მწმენდის წყლის ავზი ელ ძრავი | 236 | 10 |
| 58 | ხმოვანი სიგნალი (დაბალი ხმა) | 88 | 5 |
| 59 | მარჯვენა სარკე კარზე | 184 | 30 |
| 60 | მარცხენა სარკე კარზე | 187 | 30 |
| 61 | უკანა ხედვის მარცხენა სარკის მინა მჯ | 61 | 10 |
| 62 | უკანა ხედვის მარცხენა სარკის მინა მც | 61 | 10 |
| 63 | უკანა ხედვის მარცხენა სარკის ხუფი მჯ | 179 | 10 |
| 64 | უკანა ხედვის მარცხენა სარკის ხუფი მც | 172 | 10 |
| 65 | უკანა ხედვის სარკე სალონში | 200 | 10 |
| 66 | მოხვევის მანიშნებელი სარკეზე მჯ | 51 | 5 |
| 67 | მოხვევის მანიშნებელი სარკეზე მც | 51 | 5 |
| 68 | სალონის ფილტრი | 209 | 10 |
| 69 | სალონის ღუმელის ელ ვენტილატორი | 924 | ** |
| 70 | სალონის ღუმელის გამაძლიერებლის სენსორი | 550 | ** |
| 71 | კონდენციონერის რადიატორი | 1045 | 40 |
| 72 | ჰაერის ფილტრი | 83 | 10 |
| 73 | დროსელი | 1495 | ** |
| 74 | დროსელი | 1246 | ** |
| 75 | დროსელის საფენი | 15 | ** |
| 76 | დროსელის საფენი | 8 | ** |
| 77 | საწვავის წნევის სენსორი | 2186 | 20 |
| 78 | საწვავის წნევის სენსორი | 2193 | 20 |
| 79 | ინჟექტორი | 1697 | 30 |
| 80 | ანთების სპირალი | 101 | 30 |
| 81 | ანთების სპირალი | 94 | 30 |
| 82 | გენერატორის შკივი | 157 | ** |
| 83 | გენერატორი | 1336 | 70 |
| 84 | სტარტერი | 1020 | 70 |
| 85 | სტარტერის კნოპკა | 274 | ** |
| 86 | ვაკუუმის ტუმბო | 1234 | 60 |
| 87 | უკანა მორგვის საკისარი მჯ | 231 | 70 |
| 88 | უკანა მორგვის საკისარი მც | 231 | 70 |
| 89 | უკანა სამუხრუჭო დისკი-დოლი | 482 | 30 |
| 90 | უკანა ნახევარღერძის ჩობალი | 26 | 10 |
| 91 | უკანა ნახევარღერძის ჩობალი #2 | 30 | 10 |
| 92 | კარდნის ჯვარა | 323 | 20 |
| 93 | კარდნის დამჭერი | 422 | 40 |
| 94 | წინა შიდა ყუმბარის მტვერდამცავი მჯ | 145 | 10 |
| 95 | წინა შიდა ყუმბარის მტვერდამცავი მც | 145 | 10 |
| 96 | წინა ყუმბარის მტვერდამცავების კომპლექტი | 213 | 10 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 97 | წინა გარე ყუმბარა მჯ | 766 | 60 |
| 98 | წინა გარე ყუმბარა მც | 766 | 60 |
| 99 | წინა შიდა ყუმბარა მჯ | 758 | 60 |
| 100 | წინა შიდა ყუმბარა მც | 758 | 60 |
| 101 | წინა ყუმბარის კ-ტი მჯ | 1750 | 60 |
| 102 | წინა ყუმბარის კ-ტი მც | 1750 | 60 |
| 103 | ყუმბარის გარე ჩობალი | 71 | 10 |
| 104 | ყუმბარის გარე ჩობალი #2 | 83 | 10 |
| 105 | წინა მორგვი მჯ | 379 | 50 |
| 106 | წინა მორგვი მც | 379 | 50 |
| 107 | წინა მორგვის საკისარი | 359 | 20 |
| 108 | წინა სამუხრუჭო დისკი | 384 | 25 |
| 109 | საჭის მექანიზმის დაბოლოება მჯ | 172 | 15 |
| 110 | საჭის მექანიზმის დაბოლოება მც | 172 | 15 |
| 111 | საჭის მექანიზმის განივი წევა | 312 | 15 |
| 112 | საჭის მექანიზმის განივი წევის მტვერდამცავი | 44 | 15 |
| 113 | საჭის მექანიზმის განივი წევის მტვერდამცავი | 44 | 15 |
| 114 | სადგომი მუხრუჭის გვარლი N01 | 120 | 40 |
| 115 | სადგომი მუხრუჭის გვარლი N02 | 162 | 40 |
| 116 | სადგომი მუხრუჭის გვარლი N03 | 201 | 50 |
| 117 | მუხრუჭის მთავარი ცილინდრი | 754 | 30 |
| 118 | მუხრუჭის ვაკუუმის ავზი | 1714 | 10 |
| 119 | მუხრუჭის მილი წინა მჯ | 77 | 10 |
| 120 | მუხრუჭის მილი წინა მც | 77 | 10 |
| 121 | წინა ხუნდები | 291 | 15 |
| 122 | უკანა ხუნდები | 343 | 60 |
| 123 | საჭის მექანიზმი | 3823 | 160 |
| 124 | საჭის ჰიდროგამაძლიერებელი ტუმბო | 1790 | 80 |
| 125 | საჭის ჰიდროგამაძლიერებელის შკივი | 32 | 20 |
| 126 | წინა ქვედა მარჯვენა გიტარა | 825 | 50 |
| 127 | წინა ქვედა მარცხენა გიტარა | 825 | 50 |
| 128 | წინა ზედა მარჯვენა გიტარა | 751 | 50 |
| 129 | წინა ზედა მარცხენა გიტარა | 751 | 50 |
| 130 | წინა ზედა ბურთულა სახსარი | 159 | 20 |
| 131 | წინა ქვედა ბურთულა სახსარი | 159 | 20 |
| 132 | წინა მარჯვენა მოხვევის მუშტა | 896 | 70 |
| 133 | წინა მარცხენა მოხვევის მუშტა | 896 | 70 |
| 134 | ზედა გიტარის მილისა | 79 | 15 |
| 135 | ქვედა გიტარის წინა მილისა | 122 | 15 |
| 136 | ქვედა გიტარის უკანა მილისა | 156 | 15 |
| 137 | წინა ამორტიზატორი მჯ | 623 | 50 |
| 138 | წინა ამორტიზატორი მც | 623 | 50 |
| 139 | წინა ამორტიზატორის ზედა ბალიში | 164 | 1 |
| 140 | წინა ამორტიზატორის ზედა რეზინა | 14 | 2 |
| 141 | წინა მჯ ზამბარა | 260 | 10 |
| 142 | წინა მც ზამბარა | 260 | 10 |
| 143 | წინა ამორტიზატორის შემზღუდავი რეზინა | 73 | 0 |
| 144 | წინა სტაბილიზატორის სტერჟინი მჯ | 269 | 15 |
| 145 | წინა სტაბილიზატორის სტერჟინი მც | 269 | 15 |
| 146 | წინა სტაბილიზატორის რეზინა | 38 | 15 |
| 147 | უკანა რესორის უკანა რეზინა | 10 | 15 |
| 148 | უკანა რესორის უკანა რეზინა | 8 | 15 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 149 | უკანა რესორი | 1417 | 100 |
| 150 | უკანა რესორის წინა რეზინა | 41 | 15 |
| 151 | უკანა ამორტიზატორი მჯ | 175 | 40 |
| 152 | უკანა ამორტიზატორი მც | 175 | 40 |
| 153 | უკანა ამორტიზატორის მილისა | 5 | 5 |
| 154 | უკანა რესორის შემზღუდავი | 67 | 20 |
| 155 | წინა ბამპერი | 712 | 50 |
| 156 | წინა ბამპერის მჯ სალასკა | 53 | 5 |
| 157 | წინა ბამპერის მც სალასკა | 53 | 5 |
| 158 | წინა ბამპერის მჯ სალასკა | 35 | 5 |
| 159 | წინა ბამპერის მც სალასკა | 35 | 5 |
| 160 | წინა ბამპერის მჯ სალასკა #1 | 33 | 5 |
| 161 | წინა ბამპერის მც სალასკა #1 | 33 | 5 |
| 162 | წინა ბამპერის ქვედა ცხაურა შუა | 133 | 15 |
| 163 | წინა ბამპერის ქვედა ცხაურა მჯ | 51 | 10 |
| 164 | წინა ბამპერის ქვედა ცხაურა მც | 51 | 10 |
| 165 | უკანა ბამპერი | 1755 | 50 |
| 166 | უკანა ბამპერის სამაგრი მჯ | 90 | 10 |
| 167 | უკანა ბამპერის სამაგრი მც | 90 | 10 |
| 168 | უკანა ბამპერი შუა | 353 | 40 |
| 169 | უკანა ბამპერი მჯ | 93 | 10 |
| 170 | უკანა ბამპერი მც | 93 | 10 |
| 171 | წინა რადიატორის ცხაურა | 547 | 30 |
| 172 | წინა რადიატორის ცხაურა-ჩარჩო | 639 | 30 |
| 173 | წინა ემბლემა | 77 | 5 |
| 174 | წინა მჯ ფრთა | 630 | 40 |
| 175 | წინა მც ფრთა | 624 | 40 |
| 176 | შხეფამრიდი წინა მჯ | 120 | 10 |
| 177 | შხეფამრიდი წინა მც | 121 | 10 |
| 178 | კაპოტი | 1154 | 40 |
| 179 | კაპოტის პეტლი მჯ | 63 | 10 |
| 180 | კაპოტის პეტლი მც | 63 | 10 |
| 181 | წინა საწარე მინა | 717 | 250 |
| 182 | წინა საქარე მინის მოლდინგი ქვედა | 32 | 5 |
| 183 | წინა საქარე მინის მოლდინგი ზედა | 11 | 5 |
| 184 | წინა საქარე მინის დამჭერი ზედა #1 | 5 | 5 |
| 185 | წინა საქარე მინის დამჭერი ზედა #2 | 3 | 5 |
| 186 | წინა მჯ კარის მინა | 257 | 40 |
| 187 | წინა მც კარის მინა | 257 | 40 |
| 188 | უკანა მჯ კარის მინა | 227 | 40 |
| 189 | უკანა მც კარის მინა | 227 | 40 |
| 190 | უკანა საქარე მინა | 391 | 200 |
| 191 | უკანა საქარე მინის მოლდინგი | 30 | 10 |
| 192 | უკანა საქარე მინის სამაგრი #1 | 3 | 10 |
| 193 | საწვავის ტუმბო | 294 | 180 |
| 194 | საწვავის ფილტრი | 84 | 30 |
| 195 | წინა ფარი მჯ | 620 | 30 |
| 196 | წინა ფარი მც | 620 | 30 |
| 197 | ფარის ნათურა H4 | 113 | 5 |
| 198 | ფარის ნათურა, გაბარიტი | 7 | 5 |
| 199 | მოხვევის მანიშნებლის ნათურა | 10 | 5 |
| 200 | უკანა ფარი მჯ | 393 | 20 |

დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS

| | | | |
|---|---|---|---|
| 201 | უკანა ფარი მც | 393 | 20 |
| 202 | უკანა ფარის ნათურა მოხვ მაჩვენებელი | 10 | 5 |
| 203 | უკანა ფარის მუხრუჭის ნათურა | 11 | 5 |
| 204 | უკანა ფარის ნათურა | 10 | 5 |
| 205 | სანომრის ნათურა | 7 | 5 |
| 206 | ძრავის ბალიში წინა მჯ | 172 | 40 |
| 207 | გადაცემათა კოლოფის ბალიში | 314 | 40 |
| 208 | ძრავის ზეთი 5w30 | 20 | 0 |
| 209 | ძრავის ზეთი 10w40 | 16 | 0 |
| 210 | ძრავის ზეთი 15w40 | 15 | 0 |
| 211 | ანტიფრიზი SLLC RED წითელი | 22 | 30 |
| 212 | ანტიფრიზი SLLC PINK ვარდისფერი | 25 | 30 |
| 213 | ანტიფრიზი SLLC GREEN მწვანე | 23 | 30 |
| 214 | გამოხდილი წყალი - 1 ლ | 1 | 0 |
| 215 | სამუხრუჭო სითხე DOT-4 – 1ლ | 20 | 50 |
| 216 | სამუხრუჭო სითხე DOT-5.1 – 1 ლ | 25 | 50 |
| 217 | ფრეონი – 100 გრ | 12 | 30 |
| 218 | ტრანსმისიის ზეთი 80W90 – 1 ლ | 20 | 10 |
| 219 | ტრანსმისიის ზეთი 75W90 – 1 ლ | 45 | 10 |
| 220 | ტრანსმისიის ზეთი 85W90 – 1 ლ | 23 | 10 |
| 221 | ავტ გადაცემათა კოლოფის ზეთი T-IV - 0,5ლ | 35 | 50 |
| 222 | ავტ გადაცემათა კოლოფის ზეთი CVT – 0,5ლ | 45 | 50 |
| 223 | ავტ გადაცემათა კოლოფის ზეთი ATFIII – 100გრ | 20 | 50 |
| 224 | ავტ გადაცემათა კოლოფის ზეთი ATF WS – 1 ლ | 30 | 50 |
| 225 | თვლების ნახარის გასწორება | X | 30 |
| 226 | ხელის მუხრუჭის რეგულირება | X | 30 |
| 227 | სავალი ნაწილების მოპოხვა | X | 30 |
| 228 | ძრავის ზეთი 5w40 | 20 | 0 |
| 229 | ტრავერსის გასწორება | X | 50 |
| 230 | რესორის საფენი | 8 | 10 |

„შემსყიდველი“

ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო“

_______________________

ვახტანგ ტუკვაძე
თავმჯდომარის მოადგილე

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“

_______________________

ზურაბ ყვირალაშვილი
გენერალური დირექტორი

დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS

**2016 წლის 20 ოქტომბრის №195/16 ხელშეკრულების დანართი №2**

| ავტომანქანების ჩამონათვალი | | | |
|---|---|---|---|
| № | ავტომანქანის მარკა | სახელმწიფო ნომერი | მიმაგრება |
| 1 | Toyota Hilux 2.5 | GA 040 PA | ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია |
| 2 | Toyota Hilux 2.5 | GA 041 PA | ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია |
| 3 | Toyota Hilux 2.5 | GA 042 PA | ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია |
| 4 | Toyota Hilux 2.5 | GA 043 PA | ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია |
| 5 | Toyota Hilux 2.5 | GA 044 PA | კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია |
| 6 | Toyota Hilux 2.5 | GA 045 PA | კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია |

„შემსყიდველი“

ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო“

_______________________

ვახტანგ ტუყვაძე
თავმჯდომარის მოადგილე

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“

_______________________

ზურაბ ყვირალაშვილი
გენერალური დირექტორი